



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017-ის ახალ სტანდარტზე გადასვლის პირობები	გვერდების რაოდენობა: 1/3 სტატუსი: 11.04.2017
---	--	---

ახალ სტანდარტზე გადასვლის პირობები

სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017 - ზოგადი მოთხოვნები - -საგამოცდო და საკალიბრებელი
ლაბორატორიების კომპეტენტურობისადმი“

სტანდარტზე გადასვლის პირობები

2017 წლის 30 ნოემბერს ISO-ს მიერ გამოიცა ახალი სტანდარტი ISO/IEC 17025:2017¹ – „ზოგადი მოთხოვნები - საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების კომპეტენტურობისადმი“, რომელიც სსიპ „სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“-ს სტანდარტიზაციის დეპარტამენტის მიერ 2017 წელს თავფურცლის თარგმნის მეთოდით აღიარებული იქნა საქართველოს სახელმწიფო სტანდარტად სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017.

ახალმა სტანდარტმა სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017-მა ჩაანაცვლა სტანდარტი სსტ ისო/იეკ 17025:2010-ი.

ახალ სტანდარტზე გადასვლის გამარტივებისათვის საკ-მა შეიმუშავა შემდეგი გარდამავალი პროგრამა:

2020 წლის 1 ივლისამდე საგამოცდო და საკალიბრებელმა ლაბორატორიებმა აკრედიტებული სტატუსის შესანარჩუნებლად უნდა უზრუნველყონ სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017-ის სტანდარტთან შესაბამისობა.

2020 წლის 1 დეკემბრიდან სსტ ისო/იეკ 17025:2010-ის შესაბამისად გაცემული აკრედიტაციის მოწმობები ძალადაკარგულად ჩაითვლება.

2019 წლის 1 ივლისიდან აკრედიტაციის ცენტრი აღარ განიხილავს განაცხადს აკრედიტაციაზე/დამატებით სფეროში აკრედიტაციაზე და არ განახორციელებს გეგმიურ/არაგეგმიურ მონიტორინგს სსტ ისო/იეკ 17025:2010 სტანდარტთან შესაბამისობაზე.

2019 წლის 1 ივლისიდან აკრედიტებული საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების გეგმიური მონიტორინგი/განმეორებით აკრედიტაცია საკ-ის მიერ განხორციელდება მხოლოდ სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017 სტანდარტის შესაბამისად.

საკ-ი მოითხოვს, რომ აკრედიტებულმა საგამოცდო და საკალიბრებელმა ლაბორატორიებმა ახალ სტანდარტზე გადასვლის მიზნით და აკრედიტაციის უწყვეტი სტატუსის შესანარჩუნებლად აკრედიტაციის ცენტრში წარმოადგინონ შესაბამისი განაცხადი და ახალ

¹ სსტ ისო/იეკ 17025:2017 სტანდარტის ქართული ვერსია სსიპ „სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“-ში ხელმისაწვდომი იქნება 2018 წლის აგვისტოს ბოლოს.



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017-ის ახალ სტანდარტზე გადასვლის პირობები	გვერდების რაოდენობა: 2/3 სტატუსი: 11.04.2017
---	--	---

სტანდარტზე გადასვლის სამოქმედო გეგმა არაუგვიანეს 2018 წლის 1 ოქტომბრიდან წინამდებარე დოკუმენტში მოცემული პირობების გათვალისწინებით.

აკრედიტებული საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების, 2019/2020 წწ. მონიტორინგის ფარგლებში ადგილზე ვიზიტების გეგმიური ვადა შეიძლება შეიცვალოს, რათა 2020 წლის 1 დეკემბრამდე უზრუნველყოფილ იქნას აკრედიტებული საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების შესაბამისობა ახალ სტანდარტთან.

აკრედიტაციის ცენტრი განახორციელებს გეგმიურ მონიტორინგს/განმეორებითი აკრედიტაციას ახალი სტანდარტის სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017-ის შესაბამისად, რაც მოიცავს საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების მენეჯმენტის დოკუმენტირებულ სისტემაში ცვლილებებისა და იმპლემენტაციის შეფასებას, შიდა აუდიტის და მენეჯმენტის ანალიზის შედეგების შეფასებას, რათა დადგინდეს სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017-თან შესაბამისობისთვის განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობა.

გეგმიური მონიტორინგის/განმეორებითი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის ცენტრი განიხილავს ახალი სტანდარტის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს, რომლებიც, როგორც მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ახალი სტანდარტის მენეჯმენტის სისტემაზე გავლენისა და სამოქმედო გეგმის ანალიზს;
- შიდა აუდიტს სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017-ის ცვლილებების შესაბამისად;
- ახალ სტანდარტზე გადასვლასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეების და კლიენტების ინფორმირებულობას;
- დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული რისკების მუდმივ იდენტიფიკაციას;
- პერსონალის კომპეტენციის ამსახველ ჩანაწერებს, ტრენინგებთან და კვალიფიკაციის ამსახველ ჩანაწერებთან ერთად.

საკ-ი იღებს ვალდებულებას, რომ დაასრულებს ადგილზე შეფასების სამუშაოებს 2020 წლის 1 ივლისამდე.

საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების პასუხისგებლობაა გარდამავალ პერიოდში შეფასების დროს გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრა დასრულდეს 2020 წლის 1 სექტემბრამდე.

მას შემდეგ რაც გეგმიური მონიტორინგი/განმეორებითი აკრედიტაცია ახალი სტანდარტის შესაბამისად წარმატებით დასრულდება და მიიღება გადაწყვეტილება აკრედიტაციის განახლების შესახებ, აკრედიტაციის მოწმობა და მონიტორინგების გეგმა ადაპტირებული იქნება სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017-თან შესაბამისობის ასახვისათვის. აკრედიტაციის მოწმობის ნომერი შეიცვლება, ხოლო, აკრედიტაციის მოწმობის თარიღი იქნება ის თარიღი, როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი სტანდარტის მიხედვით აკრედიტაციის მინიჭებაზე, მოწმობის მოქმედების საბოლოო ვადა კი დარჩება უცვლელი.



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017-ის ახალ სტანდარტზე გადასვლის პრობები	გვერდების რაოდენობა: 3/3 სტატუსი: 11.04.2017
---	---	---

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ახალი სტანდარტის გაცნობა და საკუთარ საქმიანობაში სსტ ისო/იეკ 17025:2017/2017-თან შესაბამისი ცვლილებების შეტანა საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების პასუხისმგებლობაა.

კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაინტერესებულმა მხარემ შეუძლია მიმართოს აკრედიტაციის ცენტრში თავის წამყვან შემფასებელს ან ადმინისტრაციულ სამსახურს. მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42ა, ტელ: +(995 32) 2399348; +(995 32) 2192233 ფაქსი: +(995 32) 2399348 www.gac.gov.ge E-mail: gac@gac.gov.ge

ორგანიზაციამ ახალი სტანდარტის შესაძენად უნდა მიმართოს - სსიპ „საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტო“-ს. მის: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ.#67; ტელ: +(995 32) 261 25 30; Fax: +(995 32) 261 35 00; ვებ გვერდი: www.geostm.ge.